**№ 697** კვირა, 6 დეკემბერი. 1896—1898 კვირა, 6 დეკემბერი **№ 69**

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელი-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თლადმართავენ რედაქციას დილის
10—3 საათამდე და საღამოს 6—7
და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

დამდეგი **1899** წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

გაზეთ „ცნობის ფურცელზე“

ფასი წლიურად **6** მან., ნახევარის წლით **4** მან., ერთის თვით **60** კაპ.

ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

ამ წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ!

წლიურ ხელის-მომწერთ საახალწლოდ დაურიგდებათ „შიო არაგვისპირელის“ პირველი წიგნი.

## ქართული თეატრი

კვირას, **6** დეკემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან
ქ-ნ **მესხის** და ბ-ნ **გუნიას** მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება

I

## პირველი ბუზი

კომედია 3 მოქმ. თხზ. ვ. ველიჩკოსი, თარგ. ვ. გუნიასი

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| თავ. რაინდაძე, ახალგაზრდა ღენერალი | ბ. გუნია |
| თავ. ღლონტაძე, მოხელე | ბ. გედევანოვი |
| ეფროსინე, ამისი ცოლი | ქ. ჩერქეზიშვილისა |
| ლიზა — ამათი შვილი | ქ. მესხი |
| მათე — ამათი შვილი | ბ. აბაშიძე |
| ჯავახიშვილი, ახალგაზრდა მემამულე | ბ. სვიმონიძე |
| ქნ. ბაბო, ახალგაზრდა ქალი | ქ. კარგარეთელი |
| ცუცა, ღლონტის მოახლე | ქ. გარელი |
| სპირიდონ, რაინდაძის მსახური | ბ. სავანელი |
| პირველი სტუმარი | ბ. იმერიძე |
| მეორე სტუმარი | ბ. დიასამიძე |

II

პირველად ახალი პიესა

## გამარჯვებულებს არა სჯიან

კომ. 1 მოქმ. თარგ. ანნა მესხისა

| | |
|---|---|
| გრაფინია, ახალგაზრდა ქვრივი | ქ. მესხი |
| თავადი, ზღვის კაპიტანი | ბ. მესხი |
| მსახური | ბ. ხოსროევი |

წარმოდგენის წინ ორკესტრი შეასრულებს
„ღმერთო ჰფარვიდე ხელმწიფეს“

**ადგილების ფასი დაკლებულია**

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს ბენეფისი ქ-ნ ჩერქეზიშვილისა

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

**БЕНКЛЕВСКІЙ**

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

## ახალი ამბავი

—

*** დღეს ქართული წარმოდგენაა დანიშნული სათავად-აზნაურო თეატრში. წარმოდგენილი იქნება 3 მოქმედ. კომედია „პირველი ბუზი“ ვასილ ველიჩკოს პიესიდან გადმოქართულებული ვ. გუნიას მიერ. ამ წარმოდგენაში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს უკანასკნელად ეფ. მესხისა. ამ საღამოს დაიდგმის პირველად ერთ მოქმედებიანი კომედია „გამარჯვებულებს არა სჯიან“.

*** მთავარ-მართებლის გამგზავრება. დღეს, 6 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გოლიცინი მიემგზავრება რიონის სადგურზე, საიდანაც მცირეოდენის შეჩერების შემდეგ გაემგზავრება ბათომს.

*** საერო განათლების სამინისტროს სასურველად უცვნია, რომ საშუალო სასწავლებლებში მოწაფეთა სახელმწიფო ხარჯზე მიღების დროს უპირატესობა მიეცეთ იმ პირთა შვილებს, რომლებიც საერო განათლების სამინისტროს უწყებაში მსახურებენ.

*** სომეხთა კათალიკოსს მკრტიჩს ამ მოკლე ხანში ტფილისში მოელიან.

*** ქუთაისის გიმნაზიის საქმე. ამ დღეებში ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა ცნობა „კავკაზი“-დან იმის შესახებ, ვითომ განზრახვა ჰქონდეთ ქუთაისის კლასიკური გიმნაზია რეალურ სასწავლებლად გადააკეთონ. ეს ცნობა, როგორც ახლა „ნოვ. ობ.“-ს აუწყებენ, მოკლებულია სიმართლეს.

*** მეაფთიაქის თანაშემწის წოდება. იმ პირთ, რომელთაც მოწმობა აქვთ მეორე ხარისხის თავისუფალ ჯარის-კაცის წოდების მიღების შესახებ, უფლება ეძლევათ მეაფთიაქის თანაშემწის წოდების მისაღებად მოიხადონ შემოკლებული ეგზამენი ლათინურსა და ერთ ერთ ახალ ენაში.

*** თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, წევრი ტფილისის ქალაქის გამგეობისა, 4 დეკემბერს ავადმყოფობის შემდეგ ისევ შეუდგა თავისი თანამდებობის ასრულებას.

*** ახალი დანიშნულება. ლეჩხუმის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე სტრუვე გადაყვანილ იქმნა ბათომის მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ. პოდმეშალსკი დანიშნულ იქმნა ლეჩხუმის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ.

*** სულით-ავადმყოფთა გადაყვანა თავშესაფარში. 3 დეკემბრამ

ქალაქის სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გადაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოდან ათი სულით-ავადმყოფი და, გარდა ამისა, იქვე მიიღეს კიდევ ერთი გარეშე სულით ავადმყოფი, სახელდობრ ცნობილი „იაშკა".

*** ცხენის რკინის გზის საქმე. გუშინ, 5 დეკემბერს, ხმოსან-ტეხნიკოსებისაგან შემდგარმა კომისიამ გასინჯა რელსები, რომლებიც ცხენის რკინის გზის საზოგადოებას მოუმზადებია. ახალი რელსები საჭირო იქნება მაშინ, როდესაც ელექტრონის გზის გამართვას შეუდგებიან.

*** წიგნის მაღაზია თელავში. ყაზარა ხითაროვს წიგნებით ვაჭრობა დაუწყვია თელავში. ეს მერამდენჯერმე იხსნება თელავში წიგნის მაღაზია და იმედია ეხლა მაინც გასძლებს და ფეხს მოიკიდებს.

*** იაფი კრედიტი. ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუჩინონ ახალი იაფი კრედიტი სოფლის მეურნეთ და გლეხებს, რისთვისაც უნდა დაარსებულ იქმნეს საგანგებო ადგილობრივი ბანკები დიდის საწარმოვო თანხებით.

*** ოქროს თუმნიანების შემოღება. პირველ იანვრიდან შემოღებულ იქმნება ახალი ოქროს თუმნიანი ქაღალდის თუმნიანის მაგივრად.

*** ფულის გაგზავნის საქმე. საშინაო საქმეთა მინისტრის განკარგულებით, დაწესებულია ფულის მიღება ისეთ ადგილებში გასაგზავნად, სადაც არ არის ხაზინა.

*** რიყის მცხოვრებთა საქმე. კავკასიის მთავარ-მართებელმა ბრძანება გასცა: მიექცეს ჯეროვანი ყურადღება რიყის მცხოვრებთა გაჭირვებას, მტკვარის მოდიდების დროს და რაც შეიძლება საჩქაროდ შეიმუშაოს ქალაქის გამგეობამ პროექტი მტკვრისაგან რიყის დაცვის შესახებ.

*** „დაკარგულ" ქალიშვილის პოვნა. ის 12 წლის ქალი, რომელიც 23 ნოემბერს ექიმს ფონ-ირტელს „მოსტაცეს", 3 დეკემბერს სადღაც ხარდაფში უპოვნია სწორედ იმ მეღუქნეს, რომელთანაც ფონ-ირტელი სამი ქალიშვილით მისულა 22 ნოემბერს, ღამის 11 საათზე. ექიმი ფონ-ირტელი დღეს უკვე ოფიციალურად უარჰყოფს თავის გამარცვას მუშებისაგან და [illegible]შკარავდება, რომ საქმის ვითარე[illegible] სულ სხვანაირად ყოფილა.

[illegible] თის წარმოების საქმე [illegible] როგორც ნავთის წარმოების ცნობებიდგან სჩანს 1848 წ. ოქტომბრის თვის განმავლობაში უწარმოებიათ 43, 987, 893, ფუთი ნავთი; ხოლო ამ წლის ყველა გასულ 10 თვის განმავლობაში—403, 142, 684 თკ. გასულ წლის 10 თვის განმავლობაში ნაწარმოებ ნავთის რაოდენობასთან შედარებით წელს იმავე 10 თვის განმავლობაში ნაწარმოებ ნავთს უმატნია 57. 246, 286 ფუთით. გაუტანიათ ბაქოდან ოქტომბრის განმავლობაში 27. 801,000 ფუთი ნავთის ნაწარმოები, ხოლო ყველა გავლილ 10 თვეში—373. 387000 ფ.; შარშანდელთან შედარებით 10 თვის განმავლობაში წელს გატანილ ნავთის რაოდენობას უმოვნია 44. 359,000 ფუთით.

*** უღვთო მევახშე. გაზ. „მშაკს" შემდეგს ამბავს [illegible]ქ. ახალქალაქიდგან. ს. გონდურის გლეხმა სუქასიანმა ისესხა ამ 12 წლის წინად ერთი მევახშისაგან 80 მან დღემდე "კეთილმყოფელს" მიუღია თავისი მსხვერპლისაგან სარგებლად 10 ხარი, ღირებული 1360 მანეთად, ბ ორი კამეჩი, ღირებული 120 მან., და მიუხედავად ამისა, საბრალო გლეხს კიდევ მართებია წერბალასი... 234 მან. კორესპონდენტი დასძენს, რომ ახალქალაქის მასრის გლეხებს ამ ჟამად 1, 200,000 მან. კერძო ვალი აწევთ კისრად.

*** **ს. აკეთი** (გურია). ბიბლიოთეკა-კაპიკი. დღეს გურია არ სტოვებს დაუარსებლად არც ერთს სასარგებლო დაწესებულებას. აი ერთიც ახალი, ფრიად სასარგებლო და სხვებისაგანაც მისაბაძი დაწესებულება, რომელსაც აარსებენ სოფ. აკეთში. მოგეხსენებათ, ყოველ მოსწავლეს თვეში რამოდენიმე კაპიკი თავისუფალი ფული აქვს, რომელიც რჩება მას სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთის ყიდვის შემდეგ. ხშირად ისიც მოხდება, რომ ბავშვს რომელიმე ნათესავთაგანი აჩუქებს ორიოდ გროშს, რომელსაც ის ხარჯავს უსარგებლოდ. აი ამ თავისუფალ ფულიდამ ადვილად შეუძლია ყოველ მოსწავლეს თვეში თითო კაპიკი შესწიროს მოხსენებულ დაწესებულებას, რომელსაც ამის გამო დაერქმევა „ბიბლიოთეკა-კაპიკი". თვეში კაპიკის გადახდა, როგორც ვთქვით, არც ერთს მოსწავლეს არ გაუჭირდება და ამით ერთი წლის განმავლობაში 8—10 მანეთი შესდგება, რითაც შეიძლება შეიძინონ ბავშვებმა რამდენიმე იაფ-ფასიანი საყმაწვილო წიგნაკი და აგრეთვე საბავშვო ჟურნალიც. ამ ჟურნალისა და წიგნაკების რიცხვი წელიწადში 30-მდე აწევს; ასე რომ 10 წლის განმავლობაში ბავშვებისთვის იქმნება მათივე მონარჩენი ფულით 300 წიგნის ბიბლიოთეკა. გარდა ამისა, ბავშვები პატარაობიდანვე მიეჩვევიან ყოველივე საზოგადოებრივი დაწესებულების თანაგრძნობას.

აკეთის ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველმა ბ-ნმა ა. გეგეჭკორმა განიზრახა დააარსოს აკეთის სკოლაში „ბიბლიოთეკა-კაპიკი". ამ განზრახვას მოსწავლეები სიხარულით მიეგებნენ, განაცხადეს სურვილი შეედგინათ ხელ-მოსაწერი სია და ამოერჩიათ ამხანაგებისაგან კეთილ-საიმედო მოსწავლე, რომელიც ყოველ თთვის დამლევს ჩააბარებს მასწავლებელს მოკრებილ კაპეიკებს. ასე რომ ერთი წლის შემდეგ აკეთის სკოლის მოსწავლეებს უკვე ექნებათ პატარა ბიბლიოთეკა, რომლის საქმესაც ბ-ნი ა. გეგეჭკორი, იმედია, შესაფერისად დააბოლოვებს და მით უჩვენებს მაგალითს სხვა სკოლებსაც.

გუგუ

**ს. აწერისხევი.** ავადმყოფობა. ეს ერთი თვეა, რაც სოფელ აწერისხევს მოედო წითელა; მაგრამ ტყუილა უბრალოდ შეუწუხებია თავი, ჩვენი ხალხიდგან უცნობს სტუმარს და ბავშვების სულთამხუთავს. ეგონა მთის ჰაერშიაც ასე გავიპოძიძგებ ფეხებსაო, როგორც ბარში. როგორც აქაურები ამბობენ, არ მოვსწრებივართ, რომ ამ ნაირი სენი ჩვენში მოსულიყვესო. აქაურს მცხოვრებს ბარში გაუხდა ბავშვი წითელით და ავადმყოფი იმოიყვანა აწერისხევში. მოედო მთელ სოფელს: მოხუცს, დიდს, პატარას, ქალსა და ვაჟსა. თითქმის არც ერთი არ გადარჩა, რომ არ მოეხადა. სიკვდილით ვერც ერთი სული ვერ მოჰკლა. თითო ოროლა ბავშვი, თორემ ლოგინშიაც ვერავინ ჩააწვინა. თითქმის ყველამ ფეხზე მოიხადა ეს სენი. აქაური შკოლის შეგირდებმა ისე იხადეს წითელა, რომ სწავლა არც ერთ დღეს არ შეჩერებულა. სამს დღეს კი ისეთ სიცხეს აძლევდა ყველასა, რომ წითელად ვარ-ვარი გაჰქონდათ ბ მერე დააყრიდა წითყლებს და კარში დადიოდნენ ყველა თავის საქმეზედ, ყურადღებას არავინ აქცევდა. წითელებიდგან ბარში შეშინებულმა დედაკაცმა უამბო, რომ აქაურები ძრიელ ფინთად იქცევიანო. ესენი ანგელოზები არიან და ხომ იცით ანგელოზებს, რა პატივის ცემა უნდაო. სახლში არა საკლავი არ დაიკლისო, საქმობა ეჯავრებათო და აი სულ ესე უნდა უგალობლეთო და დაიწყო სიმღერა „იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო". აქ პატრონები მობრძანდნენ იავნანინაო; მობრძანდნენ და მოიფინენ იავნანინაო, და სხვ. ეხლა ამათაც პატრონები და ანგელოსები დაარქვეს ამ სენს; დადიან, თუ სხედან, კაცი და დედაკაცი სულ ამას მღერიან. ისე ძლიერ მოეწონათ აქაურებსაც სიმღერა, რომ ქორწილებშიაც ხშირად გაიგონებდით, ამ კილოზედ სიმღერას. დაბეჯითებით უნდა ვსთქვა, რომ ისე ბატონებად და ანგელოზებად არ მიაჩნიათ ეს სენი მეტ ნაწილს, როგორც სიმღერის კილო მოსწონს აქ არა ვითარი სიმღერა არ იცოდნენ და რაკი იავნანას სიმღერა ისწავლეს, მთელ დღეს, გუნდ-გუნდათ დამსხდარ ქალებიდგან, ამ სიმღერის ხმა მოდის.

მართალაძე

*** **ჭიათურა** აქაური კენჭობიე. თუ ჩვენი სხვა-და-სხვა ქალაქებში, არჩევნების გამო ხდება დაუსრულებელი აურ-ზაური, ჭიათურში სამაგიეროდ ცხენის გაჭენებ-გამოჭენებაზე გახლავთ ერთი მიწი-მოწი, და ალიაქოთი. საქმე იმაშია, რომ ერთმა თათარმა, ერთი „ჩათლახი" ცხენი იყიდა, რომელსაც, გაჭენების გარდა, არაფერი არ ეხერხება და გაჭენებაში-კი ბადალი არ ჰყავს. ასე რომ მშრალი დღე ისე ძნელად ჩაივლიდა, რომ, ალიი გათეთრდაო არ გაგვეგონოთ. ნამეტანი გათეთრებით თათარი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მძიმედ აბიჯებდა ფეხებს მიწაზე. მაგრამ, ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანსო ნათქვამია, ალიას ცხენმა გაათრია ყოველთვის თავისი პატრონი და 22 ნოემბერს ალიას ჯდომით ზურგ-დამძიმებული ცხენი შიგ შუა გზაზე მიატოვა ამირანაშვილის ცხენმა ამნაირად ერთხელ ჭიათურასაც ელირსა გათეთრება.

ა—რე ხაბულიანი

*** **დ. ლანჩხუთი.** ყვავილი. ეს ერთი თვეა რაც ლანჩხუთლებს ეწვიათ ყვავილი. ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა ძალიან შეაშინა ხალხი და კიდეც ბევრი უდროვოთ გამოასალმა ამ წუთისსოფელს, მაგრამ მთავრობისაგან ჯერ-ჯერობით არაფერი საშუალება არა სჩანს, თუმც ბევრჯელ თხოვეს, რომ გამოეგზავნა ამცრელი ფერშალი. კარგი იქნება, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას იმან, ვისიც ჯერ არს, მანამ მთელ სოფელში გავრცელდებოდეს.

— საქონლის ჭირი ამას გარდა აქეთ საქონლის ჭირმაც იჩინა თავი, რომელსაც დიდი ზარალი მოუტანა ზოგიერთებს. ხენი დღითი-დღე კლებულობს, ლანჩხუთლები ძალიან დალონებული არიან, რადგანაც სიმინდის ფასმა იკლო აქეთ. ფუთი სიმინდი ღირს 25—30 კაპ) აქაურების ცხოვრების სახსარი სიმინდი შეადგენდა და ამანაც დაიკლო. ამბობენ, ვითომც საშობაოთ მიემატება სიმინდს ფა-

სიო, მაგრამ ჯერ საუბედუროთ არ გამართლებულა ეს ხმა ვნახოთ, აწი მაინც რა იქნება...

კ—ძე

# თეატრის მატიანე

## ქართული თეატრი

«რუსთაველი» 4 მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა, (სიუჟეტი აღებულია ბერის თხზულებიდგან).

კრიტიკა არა გვაქვსო, კრიტიკოსები არა გვყვანანო. უშველებელი ტყუილია! ბატონო ჩემო, ყოველი ქართველი კაცი კრიტიკოსია, გაბრძანდით სალაყბაზედ და ნახავთ, რომ ქართველები სულ კრიტიკაში ატარებენ დროს, ე. ი. სულ სხვისა სიტყვისა და საქმის განსჯასა და განხილვაში არიან. მიბრძანდით ქართულს თეატრში... იგივე სურათი. ჯერ ფარდა არ აწეულა და ავტორი პიესისა, არტისტები, ყველანი უკვე „განკრიტიკებულნი“ არიან, თუ ქართულად ასე ითქმის. ქალები ჩვენი? ოჰ, ისინი ხომ თვით ბუნებითვე, დაბადებიდანვე ლესსინგები არიან! მათს გაკილვასა და გაქორვას ვერ გადურჩება ვერც ერთი ხორცშესხმული არსება. ქალსა თუნდ პურს ნუ აჭმევთ, ოღონდ ენა მოაქარვებინეთ კრიტიკით, ანუ სხვისა განხილვით, ანუ, უფრო უკეთ, სხვაზე ლაპარაკით. მაშ როგორ უნდა გვესმოდეს ეს სიტყვები: ქართველებს კრიტიკა არ გვაქვსო. ასე, ჩემო ბრძენო, რომ ქართველებს სალიტერატურო კრიტიკა არა გვაქვს, თორემ ცხოვრებაში კრიტიკოსები იმდენნი გვყვანან, რომ სახატრელია მათი შემცირება, хоть отбавляй-ო, როგორც რუსები იტყვიან. მეტადრე მე განსაკუთრებით მეჯავრებიან ეს შინაური კრიტიკოსები, ეს მჩხავანა კატები, ეს ბრბო ფარისეველთა და სადღუკეველთა, ეს კრებული უვიცის, გაუნათლებელ და გაუთლელ „ინტელიგენტ“ კაცთა და ქალთა. სამწუხაროდ რიცხვი მათი მრავალია. მჭრელისა და მკვახე სალიტერატურო კრიტიკის უქონლობით მათ ისარგებლეს, მათ თავიანთის სალაყბო კრიტიკის შემწეობით დაყვეს ჩვენნი მწერალნი ნიჭიერებად და უნიჭოებად; ხოლო ადლად ამ დაყოფაში იხმარეს არა სალიტერატურო კრიტიკა, რომლის შნო და უნარი მათთვის გამჩენს არ მიუცია, არამედ პირადი, კერძო დამოკიდებულება ამა თუ იმ მწერალთან, პირადი სიმპატია და ანტიპატია. ამ სიმპატია-ანტიპატიაში ულვაშებსაც ადგილი უჭირავს, გვარიშვილობასაც (თუ თავადია, შეიძლება „ნიჭიერებში“ ჩაითვალოს), ნათესაობასაც, პურ-მარილსაც, ერთის სიტყვით, ყველაფერს გარდა... ნიჭისა და ცოდნისა.

დიახ, ამ მჩხავანა ინტელიგენტთა ბრბომ დიდი ხანია დაჰყო ჩვენი მწერლები „ნიჭიერებად“ და „უნიჭოებად“. ყოველივე ნაწარმოები „ნიჭიერებისა“ მიიღების ხოლმე აღტაცებით, ყოველივე მეორესი ცივად. ამ ბრბოს ზეგავლენით, იქნება ჩაგონებითაც, ეხლახან ერთმა ურიამ გამოსცა კრებული „ქართველ ლიტერატორების“ სურათებისა. ღმერთო მაღალო! ვინ არ არის შიგ მოქცეული! მერე სადა?— რუსთველის გვერდით! არიან ისეთნიც, რომელთა ლიტერატორად ხსენებაზედ ქათამსაც კი სიცილი წასკდება. საწყალი ურია! იმან რა იცოდა, როგორ ხაფანგში გააბამდნენ მასაც და მისს, ჭეშმარიტად კეთილს განზრახვასაც სალაყბოს კრიტიკოსები და დამფასებლები.

სამწუხაროა, მაგრამ ასე კია. სალიტერატურო ჩვენი პანთეონი სალაყბომ აავსო ულირსის სახელებით და გზა და ადგილი არ მისცა ბევრს ჭეშმარიტს ნიჭიერებას. ცოცხი უნდა, ცოცხი ამ პანტეონს, დაგვა სჭირია! როგორც მაცხოვარმა გამოყარა წმიდა ტაძრიდგან ვაჭარნი, ისე სალიტერატურო კრიტიკამ უნდა ცოცხი მოუსვას ჩვენს პანთეონს. გამოვავოს და გამორეკოს იქიდამ ისინი, ვინც შესულან ამ წმიდა სახლში პურ-მარილით, კეკლუცობით, ჯეელობით, გვარიშვილობით და სხვა ულირსის საშუალებით და დასტოვოს მხოლოდ ჭეშმარიტი ნიჭიერება.

ძნელი და ხიფათიანია ეს ხელობა. აუარებელ მტრებსა და მექორეებს გაუჩენს კრიტიკოსს, გააძევებენ მას, აითვალწუნებენ და სხვა.., მაგრამ მიუხედავად ყოველის სიძნელისა „მეგახლავარმა“ მტკიცედ გადასწყვიტა ემსახუროს სწორედ ამ საგანს, სწორედ ამ ეკლიან გზით იაროს და თავისის სუსტის ძალ-ღონის მიხედვით მოუტანოს მცირედი მაინც სარგებლობა სამშობლო ლიტერატურას.

ამ აზრით არის დაწერილი ჩვენი სამი დიდი და პრინციპიალური წერილი: „ილ. ჭავჭავაძე“, კრიტიკული წერილი, „ცხოვრება და მწერლობა“—გარჩევა „მოლიპულ გზისა“ („ივერია“) და განდეგილის ლექსების გარჩევა („მოამბე“).

ამ წერილების შესახებ დასაბუთებული სიტყვა არავის უთქვამს მწერლობაში. ხოლო სალაყბოზე, ქართულ თეატრში, ბუდუარებში... რასაკვირველია, ბევრი ითქვა... ჩამრიცხეს ქვეყნის მოღალატეთა შორის და სხვა და სხვა. მაგრამ ასეთის ალალით თავიანთი მწყრები შეაშინონ. ჩვენ კი განვაგრძობთ ჩვენს კილოს და სადღეისოთაც ახალსა და უცნაურს მათთვის ამბავს მოვუთხრობთ.

სახეში გვყავს კ. ს. მესხი და მისი დრამა „რუსთაველი“. კ. მესხი ჩვენზე ბედნიერი კაცი არა ყოფილა ინტელიგენტ ბრბოს თვალში; ისიც ჩარიცხული ყოფილა „უნიჭოთა“ რიცხვში. ჯერ ფარდა არ აფრიალებულიყო სცენისა, რომ ბულვარ-ფაშები ტუჩებს იფშრუკავდნენ და კრიტიკოსობდნენ. გათავდა პირველი მოქმედება, მეორე, მესამე... დაიწყო კრიტიკა. რას არ გაიგონებდით: ავტორმა ისტორია არ იცისო, ლექსი არ ვარგაო, დრამატიზმი არ არისო, ტანისამოსები არ უვარგათო. ერთმა, არ დაიჯერებთ, ისიც კი უსაყვედურა ავტორს: კამათლების გაგორებაც ვერ მოუხერხებიათო. ნათარგმნი პიესააო, მოპარულიაო და სხვა და სხ.

ასე სჯიდა ბრბო ინტელიგენტ კაცთა და მეტადრე ქალთა. ამათ ძალათ დაეხშოთ კარი გრძნობისა, პირდაპირ (непосредственно) შთაბეჭდილებათა მიღებისა. ასე არა სჯიდნენ ისინი, ვინც მოსულიყო თეატრში არა საკრიტიკოდ, არამედ დასატკბობად, შთაბეჭდილებათა მისაღებად. აი ნამდვილნი დამფასებელნი, ნამდვილნი ამღვიარებელნი ნაგრძნობისა, ესენი კი ამტვრევდნენ, ექსტაზშა მოსულნი, სკამებს, ყვიროდნენ და აღარ იცოდნენ როგორ და რა გზით ამოეღოთ გულიდან აუარებელნი კეთილშობილნი გრძნობანი, „რუსთველის“ ცქერით გაღვიძებულნი. გალერეია აღარ ჩუმდებოდა, ხელებს იმტვრევდა ტაშის ცემით.

სწორედ დიდი დანაშაულია კრიტიკით მოსმენა ხელოვნურ ქმნილებისა, პირველი აქტი ხელოვნების ზეგავლენის მიღებისა უნდა იყოს პასსიური მიღება შთაბეჭდილებათა; კაცი უნდა უკრიტიკოდ, არა წინად განზრახულ რომელისამე აზრით, არამედ პირდაპირ მიეცეს ზეგავლენას ხელოვნებისას. კრიტიკა იწყობა მერე. მისი საგანია მოიყვანოს წეს-რიგზე აღძრულნი შთაბეჭდილებანი, ანგარიში მისცეს ჭკვას, რა მოეწონა, რად მოეწონა და სხვა.

მეგახლავარ

(დასასრული იქნება)

# სამეცნიერო ცნობა

—

მცენარეთა ცხოვრება. როგორც წინა წერილებში გვქონდა მოხსენებული, მიწიდგან ძირ-ფესვებით ამოწოვილი წყალ-წყალა წვენი მცენარის საზრდოდ გამოუსადეგია, ვიდრე ფოთლებში არ ავა, დასქელდება და ნახშირ-მბადს (ნახშირს) შეუერთდებაო. მცენარე ორგანიული სხეულია, ხოლო ყოველ ორგანიულ სხეულის დედა ნახშირ-მბადია. (ორგანიულ სხეულებად ითვლებიან მცენარეები და ცხოველები, ხოლო არა ორგანიულად მინერალები). ყოველს ორგანიულის სხეულის ქვა-კუთხედს ნახშირ-მბადი შეადგენს. მცენარე მიწიდგან ვერ ამოიღებს ნახშირ-მბადს (ნახშირს), ხოლო რომ ჰაერიდგან მიიღოს, საჭიროა მცენარეს საღი ფოთლები ჰქონდეს. რაც უფრო დიდი ზედა პირი ექმნება ფოთლებს, რაც უფრო მწვანე, საღი და დაუზიანებელ-უვნებელი იქნება ფოთოლი, მით უფრო კარგად და ბლომად შეიმუშავებს მცენარის საკვებავს მასალას და რაც უფრო მეტი საზრდო ექმნება, მით უფრო მძლავრი იქნება თვით მცენარე. როგორც მძლავრი, ჯან-საღი ადამიანი უფრო აიტანს სუსტსა და დაავადებულსა გარემოებათა არა საკეთილოდ შეცვლას, ისე აიტანს მცენარეც. ჩვენთვის საინტერესოა მცენარეები საღ-მძლავრნი იყვნენ. ესეთი მცენარე ნაყოფსაც უფრო კარგად და მალე დაამწიფებს, ტანსაც დიდს და მაგარს გაიზრდის და სნეულებაც ისე არ დაიმორჩილებდა. ხოლო, როგორც ზემოთ მოგახსენეთ მცენარის სიმძლავრ-სილონიერ-სიჯან-საღე, ფოთლების რაოდენობასა და სიკეთეზედ არის დამოკიდებული. (რასაკვირველია ძირებ-ფესვებიც საღი უნდა ჰქონდეს მცენარეს, რომ მიწიდგან თავის ზემო ნაწილს ბლომად მიაწოდოს შესამუშავებელი მასალა), საღი ფოთოლი ისევე საჭიროა მცენარისათვის, თუ მეტად არა, როგორც საღი ძირი. რომ ფოთლებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის, ამის მაგალითს ჩვენ ხშირად ვხედავთ. როდესაც ვაზის ობი (მილდიუ) ვაზს ფოთლებს დაუზიანებს და უდროვოდ ჩამოყრის, ყურძენი არ მწიფდება, სჭკნება და ფუჭდება. იგივე მოსდის ახალ გაზრდა ყლორტებსაც. ისინი ვერ ასწრებენ მოწევას, შემოსვლას, გახევებას, ამიტომ ზამთარში ყინვები და ჭირხლი ძალიან ვნებს და ხშირად ახმობს კიდეც. ან კიდევ ესეთი დასუსტებული ტოტი (რქა) თავისსავით სუსტს ყლორტებს იძლევა და თუ ამ უკანასკნელთაც ის დღე დაადგათ, მაშინ სულაც ხმება. ის მცენარე, რომელსაც საქონელი ხშირად კორტნის და ფოთლებს არ არჩენს, პირველში ძალიან სუსტად და დაჭაგრულად იზრდება, და თუ ეს ამბავი რამდენიმე წელს ზედი-ზედ გაგრძელდა, მაშინ სულაც ხმება, თუმცა შეიძლება, მცენარეს სრულებით საღი ძირებიც ჰქონდეს ამ შემთ-

ხვევაში ძირები თავის მოვალეობას პირ-ნათლად ასრულებენ,— აწვდიან ზემო ნაწილს მცენარისას დაუმუშავებელს თხელს წვენს, მაგრამ, რადგანაც მცენარეს ფოთლები არა აქვს, ვერ სარგებლობს ამ წვენით. ამიტომ საჭიროა მცენარის ფოთლები დავიცვათ ყოველივე ცუდის გავლენისაგან, გაკორტნისა, ჭიებ-მწერებისა და სენთაგან. ჩვენში ძალიან გავრცელებულია ვაზზედ ორი სენი: ნაცარი და ვაზის ობი. პირველის წინააღმდეგ გოგირდის შეყრა იხმარება, ხოლო მეორის წინააღმდეგ ბორდოს სითხე. აი ეს უკანასკნელი ამ ანგარიშით მზადდება: აიღეთ ყოველს $1^1/_2$ გირვანქა ლურჯს (სპილენძის) შაბიამანზე 1 გირ. დაუშლეელი ახალი ქვაკირი და $4—4^1/_4$ ვედრო წყალი (ვედრო 20 ჩვეულებრივს ბოთლს უდრის). შაბიამანი ცალკე გახსენით წყალში და კირი ცალკე, კირი დაშლის დროს ხშირად კენჭებს სტოვებს, რომ ეს კენჭები სითხეში არ მოჰყვეს და სასხურებელი მანქანის საცერი არ გამოავსოთ, კირი თხლად ნაქსოვ ტომარაში ჩაყარეთ და წყალში ისე ჩაუშვით. როცა კირი ცომის სახეს მიიღებს, მაშინ გამოსწურეთ წყალში. როცა კირ ნარევი წყალი გაცივდება, ჩაასხით შაბიამნიანს წყალში და თან ურიეთ. ამ სითხეს რომ ყოველს 60–65 ვედროზედ 1 გირ. ეგრედ წოდებული парижская зелень (აფთიექის მაღაზიებში იყიდება) ჩაურიოთ, მაშინ ეგევე სითხე მავნე ჭიებ-მწერების წინააღმდეგ საბრძოლველადაც გამოდგება.

არევ.

### გამოსადეგი ცნობა

კვერცხების შენახვა. კვერცხის შესანახად კარგია შემდეგი საშუალება. გახსენით ორი გირვანქა მარილი 8 ბოთლ წყალში, აადუღეთ 20 წუთს, მიუმატეთ 2—3 კოვზი დამწვარი კირი. როცა სითხე შენელდეს, ჩაასხით კვერცხებით გავსებულ თიხის ჭურჭელში. ასეთ სითხეში კვერცხი მშვენივრად ინახება და ნახევარ წლამდე არ ფუჭდება.

—

ქათმების საზამთრო ნედლი საკვები. ქათმისათვის კარგ ნედლ საკვებს ამზადებენ შემდეგი სახით: გაავსებენ ფუთს ერთმანეთში არეულ ქვიშით და ხორბლით (ქერით, შვრიით, ჭვავით და სხ.), შემდეგ კარგად შეასველებენ წყლით, დადგამენ თბილ ადგილას, ფეხის მახლობლად, თოხი დღის შემდეგ ქვიშას დაშლიან, ხოლო გაღივებული და ფესვებ-გადგმული ხორბალი საუცხოვო ნედლ საკვებს შეადგენს ქათმისათვის.

### სხვა-და-სხვა ამბავი

—

რას შეიცავს ტანმთელი ადამიანი, რომელიც დაახლოვებით იწონის ოთხ ფუთსა და რავდენსამე გირვანქას? ამ კითხვაზე ერთი გერმანელი მსწავლული, რომელსაც დაწვრილებით გამოუკვლევია ტანმთელი კაცის აგებულება, გვიპასუხებს, რომ ასეთი ადამიანის სხეულის შემადგენელი ნაწილები, რაოდენობის მხრით, უდრის 1,200 კვერცხის ცილასა და გულსაო. რომ შესაძლებელი იყოს ადამიანის სხეულის გაზებად გადაქცევა, მივიღებთ, სხვათა შორის, იმდენ წყალბადს, რომ ლითაც შეგვეძლება გავავსოთ ჭაერის ბურთი (შარი) და ავაფრინოთ კარგა მაღლაო. ტანმთელ ადამიანის სხეული შეიცავს იმდენ რკინას, რომლიდანაც შეიძლება გამოიჭედოს შვიდი დიდი ლურსმანი, იმდენ ქონს, რომლითაც შეიძლება გაკეთდეს $6^1/_2$ კილოგრამი სანთელი, იმდენ ნახშირბადს, რომლიდანაც შეგვიძლია 65 ხვილი ფანქარში გავაკეთოთ და იმდენ ფოსფორს, რომლითაც მომზადდება 820,000 ცალი წუმწუმა. გარდა ამისა, ტანშიც ადამიანის შემადგენელ ნაწილების ნივთიერებიდან შეიძლება შევადგინოთ 20 კოვზი მარილი, 50 ნატეხი შაქარი და 42 ლიტრა წყალი.

### ყურმოკრული საუბარი

—

— ხომ არ იცით რამდენი აქტია ამ პიესაში?—ჰკითხავს პოლიციელი ახალგაზრდა კაცს.

— სულ ცოტა რომ ვსთქვათ, თხუთმეტი იქნება.

— მე გავიგე ორიაო.

— დიახ, მაგრამ თქვენ გავიწყდებათ პოლიციის აქტები.

—

— ეს მეტად საძაგელი თუთიყუში მყავს, სხვებს სხვა და სხვა სიტყვებით ელაპარაკება და მე კი სულ ერთს სიტყვას მეძახის.

— რა სიტყვას?

— რასა და სულელოო!

—

ორი ქალი ლაპარაკობს.

— ქალო რას მოქუშულხარ? რა უცნაური სახე დაგდებია?

— წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, უსახელო წერილი მამივიდა, რომლითაც მატყობინებენ, შენმა მეტრფემ სხვაზე გაგცვალაო და მე ვერ გამომიცვნია რომელი ჩემი მოტრფიალეთაგანი უნდა იყვეს ეს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 დეკემბერი

**პეტერბურგი.** აქ მობძანდა მოსკოვიდგან მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმირი.

ირკუსტკიდან პირველად მოიტანეს რკინის გზით 856 ფუთი და 16 გირვანქა ოქრო სამის მილიონის მანათისა. 5632 ვერსი მატარებელმა 16 დღით ადრე გაირა.

**ამსტერდამი.** „Haudelsulatt“-ში დაბეჭდილია წერილი ესტერგაზისა, რომელიც სწერს, რომ განზრახვა მაქვს ნიუ-იორკში წავიდე და იქიდან ჰავანნაშიო. ამსტერდამში ესტერგაზის ჰსურს მხოლოდ საკასაციო სასამართლოსაგან პასუხს დაუცადოს, რომ ჩვენების მისაცმად წავიდეს. პასუხი რომ მოვა, ესტერგაზი შეიძლება, პარიზს წავიდეს.

**პარიზი.** გაზეთები იუწყებიან, რომ პიკარმა ხელი მოაწერა თხოვნას, თავისუფლება დამიბრუნეთო. ფრეისინე შეჰპირდა, რომ დღეს მოგცემ პასუხსაო.

**სტამბოლი.** კრიტიდან იუწყებიან, რომ ადმირალთა საბჭომ დაადგინაო, სთხოვონ ბატონიშვილს გიორგის—13 კაცი, რომელთაც საერთაშორისო სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა გარდაწყვეტილი, საპყრობილეში ჩასვას. ადმირალები წავლენ კრიტიდან 9 დეკემბერს.

**პარიზი.** ამტკიცებენ, რომ ხვალ ფრეისინე პიკარის თხოვნას გაუგზავნის ცურლინდენს განთავისუფლების შესახებ და წინადადებას მისცემს,—სამხედრო სასამართლო მოიწვიეო ამ საგნის გარდასაწყვეტად.

დილით დეპეშა მოვიდა, რომელიც იუწყება, რომ შავი ჭირი ტამატავას იქით არსად გავრცელებულა და თანდათან კლებულობსო.

**სოფია.** სამხედრო მინისტრმა დანიშნა ჯარის წარმომადგენლობად სან-სტეფანოს ეკკლესიის კურთხევაზე გენერალი ნიკოლაევი, სოფიის გარნიზონის პოლკოვნიკი პეტროვი და მთავარ-შტაბის ოფ[illegible] ცერი ბასკაკოვი.


## განცხადებანი

დაიბეჭდა 1899 წლის

ქართული

**კედლის კალენდარი**

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

იყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან 40 კაპ.

უმთავრესი საწყობი: Тифлисъ, Писчебумажный магазинъ С. М. Лазаревой.

(5–[illegible])

გამოვიდა მეორე წიგნი

**რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონისა**

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (12 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდე, წვრილის ასოებით დაბეჭდილი)—მარტო **12 მან.**, რომელიც ხელის-მომწერთ შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნებათ ორი წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზე ასეთი ლექსიკონები ღირს ხ უ თ ი და ა თ ი თ უ მ ნ ე ბ ი და ვერც ჩვენს მკითხველს აკმაყოფილებენ სავსებით. რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,—ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწდომი. მესამე წიგნი [illegible] **30ნ**-ზე გამოვა მარტის გასულს. თფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და ბ. ხიდდეკელის წიგნების მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

(8—2)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

## Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школ[ы] садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—6[illegible])